ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 8 – 9 აპრილი, 2017 №83 (7318) ფასი: 50 თეთრი

## სოხუმში ბოროტმოქმედებმა მამაკაცი დაწვეს, მის მეუღლეს კი სასტიკად სცემეს




გვ.5

6 აპრილიდან

საბავშვო ბიბლია

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი




# გიორგი მარგველაშვილი: „ახალი პოლიტიკური მოთამაშეების გამოჩენა აუცილებელია“



პრეზიდენტი მედიის გაძლიერებას უჭერს მხარს

გვ.2



## სალომე ზურაბიშვილი: „პრეზიდენტის არჩევითობა კითხვის ნიშნის ქვეშ მარგველაშვილმა დააყენა“

## დავით დარჩიაშვილი: „მარგველაშვილის აქცენტები სწორი იყო“

გვ.3





## ნიკა მელია: „ხალხს არ სურს ივანიშვილის ბაღში ცხოვრება“

გვ.3

## სუსმა ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავა



გვ.5

## რა საფრთხეს ქმნის სირიაში წასული ჯიჰადისტების სახლებში დაბრუნება



გვ.5

რატომ გადავიდნენ ტერორისტები მცირე მასშტაბის ტერორისტულ აქტებზე

## კაფეში ან რესტორანში თამბაქოს მოწევისას ფიზიკური პირებისთვის ჯარიმა პირველად 50 ლარი იქნება



გვ.6

ISSN 1987-9385



## პირველკლასელთა რეგისტრაცია 10 აპრილს დაიწყება

## თურქი მებაჟეები საქართველოს ორ მოქალაქეს ფიზიკურად გაუსწორდნენ

გვ.6



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი მარგველაშვილი: „ახალი პოლიტიკური მოთამაშეების გამოჩენა აუცილებელია“

შორენა მარსაგიშვილი

ვეტოების მძლეველმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, როგორც იქნა, პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მოსასმენად მოიცალა.

## პრეზიდენტი მედიის გაძლიერებას უჭერს მხარს





თავიდან ითქვა, რომ გიორგი მარგველაშვილი პარლამენტში თებერვალში მივიდოდა, მერე თქვეს, რომ პრეზიდენტისთვის მოსმენის საუკეთესო დრო მარტია. ამასობაში კარს აპრილი მოადგათ და მარგველაშვილს პარლამენტში 7 აპრილს, ხარება დღეს უხმეს.

მისი გამოსვლა საპარლამენტო უმრავლესობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითად შეაფასა. საპარლამენტო ოპოზიციამ კი ერთიც დაიწუნა და მეორეც. მარგველაშვილის გამოსვლამ არც მთავრობის მეთაური აღაფრთოვანა დიდად, მაგრამ გიორგი კვირიკაშვილმა მოზომილი შეფასება გააკეთა.

### „სახელმწიფოს უსაფრთხოება დაუცველია, სანამ არ არის დაცული ქვეყნის ყველა მოქალაქე“

ყოველწლიურ ანგარიშში მარგველაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებას.

— სასამართლო სისტემა ჩემი მუდმივი ზრუნვის საგანია. მოსამართლეთა მეტი დაცულობა და დამოუკიდებლობა, სასამართლო სისტემის მეტი დემოკრატიულობა ჩემი არაერთი პოლიტიკური განცხადების თუ ნაბიჯის საფუძველი გახდა. თუმცა, ამ პროცესის მთავარი აქტორები თავად მოსამართლეები უნდა იყვნენ.

ბრძოლა სასამართლოს თავისუფლებისთვის უნდა მიმდინარეობდეს თითოეულ სასამართლოში, თითოეულ დარბაზში, მოსამართლის კაბინეტსა და სათათბირო ოთახში. ეს ტვირთი ყველამ უნდა აიღოს თავის თავზე. სამწუხაროდ, თავად მოსამართლეთა კორპუსი ამ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობისას სრული დუმილით შემოიფარგლება, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი შეფასებით, სასამართლო სისტემაში კრიზისია. გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე საუბრობდა ამ კრიზისის გადაწყვეტაში ევროპის კავშირის ექსპერტთა მისიის ჩართულობის აუცილებლობაზე. ამ საკითხზე ახლაც იგივეს ფიქრობს და გამოსავალი ასე წარმოუდგენია:

— ჩვენ გვჭირდება მაღალავტორიტეტულ ექსპერტთა მისია, რომელიც სასამართლო კრიზისის ზუსტ მიზეზებს დაადგენს და გამოკვეთს იმ გზებს, რომლებითაც ამ კრიზისიდან უნდა გამოვიდეთ. სასამართლო სისტემის უკვე ტრადიციად ქცეული სირთულეების ფონზე უმნიშვნელოვანესი იქნებოდა ყველაზე თამამი და არაორდინარული მოსაზრებების მოსმენა, სწორედ საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესში.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, მოქალაქე დაუცველია, თუ მას არ აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლება. დაუცველი მოქალაქე კი, მისი თქმით, დაუცველ სახელმწიფო უსაფრთხოებას ნიშნავს.

— მოქალაქე დაუცველია, როდესაც ხელყოფილია მისი უფლება ილოცოს, როდესაც მას ამცირებენ ეთნიკური წარმომავლობის გამო. მოქალაქე დაუცველია, როდესაც მას სდევნიან მისი განსხვავებულობის გამო, როდესაც მას ჩაგრავენ სექსუალური ორიენტაციის გამო. მოქალაქე დაუცველია, როდესაც მას არასათანადოდ ეპყრობიან სამართალდამცავები, როდესაც მას დევნიან პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით, როდესაც მასზე ძალადობს ის, ვისაც მისი დაცვა ევალება, როდესაც მისი პირადი ცხოვრება არ არის ხელშეუხებელი, როცა მას უკანონოდ უსმენენ.

სახელმწიფოს უსაფრთხოება დაუცველია, სანამ არ არის დაცული ქვეყნის ყველა მოქალაქე, — მიიჩნევს მარგველაშვილი.

მთავარსარდალი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავების აუცილებლობაზეც ალაპარაკდა.

მისი თქმით, დისკუსიის შედეგად უნდა მოხდეს შეთანხმება ეროვნული უსაფრთხოების ერთიან მიდგომაზე, რომლის განხორციელება სახელმწიფოს, შეიარაღებულ ძალებს და საზოგადოებას ერთიან თავდაცვით სისტემად აქცევს.

— დაცული მოქალაქე, დაცული საზოგადოება, დაცული სახელმწიფო არის სახელმწიფოს უსაფრთხოების ქვაკუთხედი. სახელმწიფოს უსაფრთხოება იწყება იმ განცდიდან, რომელიც აერთიანებს საზოგადოებას, როგორც ტერიტორიის, ისე მისი ღირებულებებისა და ინტერესების, ცხოვრების წესის ირგვლივ. სწორედ ეს თანხმობა აყალიბებს უნარს, შევეწინააღმდეგოთ დამპყრობელს.

თანამედროვე გამოწვევების, საფრთხეების და ასევე რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები და მთლიანად საზოგადოება ქვეყნის უსაფრთხოების ერთიან ხედვაზე შევთანხმდეთ, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, მან უშიშროების საბჭოს აპარატს უკვე დაავალა ამ საკითხზე საჯარო დისკუსიების დაწყება.

ანგარიშში პრეზიდენტმა კრიმინოგენულ ვითარებაზეც ისაუბრა. მისი აზრით,

კრიმინალთან ეფექტური ბრძოლისთვის უწყებათაშორისი და ამავე დროს, საზოგადოების გამაერთიანებელი პროგრამების შექმნაა აუცილებელი.

მისი თქმით, ასეთმა თანამშრომლობამ ერთხელ უკვე გამოიღო შედეგი და მაგალითიც მოიყვანა:

— ასეთი თანამშრომლობის კარგი მაგალითია ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რომელიც ერთობლივად განხორციელდა რამდენიმე სახელმწიფო უწყების მიერ და რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ასეთი პროგრამების განხორციელებაში გიდასტურებთ ჩემს მხარდაჭერას.

### ძლიერი არჩევანი და მედიის ერთიანობა

ოქტომბრის თვეში დაგეგმილი თვითმმართველობის არჩევნების წინ პრეზიდენტმა პარტიებს პარლამენტის ტრიბუნიდან მისცა რჩევები.

მისი აზრით, პარტიებმა გამაერთიანებელი იდეები უნდა იპოვონ, რათა მრავალგზის იმედგაცრუებულ ამომრჩეველს ახალი არჩევანი შესთავაზონ. მარგველაშვილის რჩევა ასეთია:

— მივმართავ პოლიტიკურ პარტიებს. ახლოვდება თვითმმართველობის არჩევნები. ჩვენ გვჭირდება რეალური თვითმმართველობა; გვჭირდება საარჩევნო რეფორმა და მე ამ საკითხში მხარს ვუჭერ თქვენს კონსოლიდირებულ ძალისხმევას. მაგრამ უმნიშვნელოვანესია, ჩვენს საზოგადოებას ახალი არჩევანი ძლიერმა პოლიტიკურმა აქტორებმა შესთავაზონ. ქართული დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ძლიერი პოლიტიკური მოთამაშეების ჩამოყალიბება. მოძებნეთ გამაერთიანებელი იდეები, იპოვეთ ერთმანეთთან მისასვლელი გზები და მრავალჯერ იმედგაცრუებულ ამომრჩეველს შესთავაზეთ ძლიერი არჩევანი.

საქართველოს პრეზიდენტმა ერთიანობისკენ მედიასაც მოუწოდა და განაცხადა, რომ ქართული მედიის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას ისურვებდა. მედიის ერთად დგომის აუცილებლობაში კი ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაარწმუნა.

— მინდა მივმართო ქართულ მედიასაც: თქვენ ასაჯაროებთ დემოკრატიის წყაროს — ხალხის ხმას; თქვენ აკონტროლებთ ხელისუფლებას და აკრიტიკებთ გადაცდომებს; თქვენ ქმნით საზოგადოებრივ აზრს. ეს ნიშნავს, რომ თქვენ, ქართული მედია, რეალურად ჩამოყალიბდით, როგორც მეოთხე ხელისუფლება და თქვენი, ქართული მედიის, როგორც შემდგარი ხელისუფლების შტოს ეფექტიანი მუშაობა თავისუფალ გარემოში აუცილებელია სახელმწიფოს სწორი ფუნქციონირებისთვის.

ჩვენ ვნახეთ, რამდენად კონსოლიდირებულნი იყავით, როდესაც რამდენიმე თქვენთაგანს საფრთხე შეექმნა. ჩვენ ვნახეთ, რამდენად ეფექტიანად მოახდინეთ არა მხოლოდ კოლეგების, არამედ ქართული საზოგადოების გაერთიანება დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპის — სიტყვის თავისუფლების დასაცავად. მედიაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად გამოკვეთა, რომ თქვენი ძალა თქვენს ერთობაშია. მე ვისურვებდი, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეთ. მზად ვარ, დაგეხმაროთ ეფექტური დიალოგის გაღრმავებაში სისტემური და კომპლექსური გაძლიერებისთვის, — განაცხადა მარგველაშვილმა.

### ანტიანექსიური პოლიტიკა

ყოველწლიურ ანგარიშში პრეზიდენტმა ოკუპირებული ტერიტორიებზეც ისაუბრა. ახალი და საიმედო ვერაფერი თქვა, აღნიშნა, რომ მეგობარ სახელმწიფოებთან ერთად უნდა შეიქმნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანტიანექსიური პოლიტიკა.

ამ მიმართულებით უკვე არსებობს თანამშრომლობის პრაქტიკა. საუბარია არაღიარების პოლიტიკაზე, რომელიც წარმატებით ხორციელდება.

ანექსიის წინააღმდეგ პრეზიდენტი ერის გაერთიანებას ითხოვს:

— რუსეთის ფედერაცია დგამს ნაბიჯებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიის მიმართულებით. ამიტომ, ისევე, როგორც არაღიარების პოლიტიკის შემთხვევაში, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების აქტიური ჩართულობით უნდა შეიქმნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანტიანექსიური პოლიტიკა და გადავდგათ შეთანხმებული ნაბიჯები ანექსიის თავიდან ასაცილებლად.

ამავე დროს, არ შეიძლება დღესვე უმწვავესი რეაქცია არ გვქონდეს ახალი გამყოფი ხაზებისა და მავთულხლართების გავლების პოლიტიკაზე, გალის რაიონის სკოლებში ქართულენოვანი სწავლების შეზღუდვაზე, ადამიანების გატაცებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული ძეგლების ხელყოფის ფაქტებზე. ქვეყნისთვის ასეთ მნიშვნელოვან თემებზე ყველა ერთიანი უნდა ვიყოთ.

მართალია, პრეზიდენტი რუსეთის ქმედებებით აღშფოთებული და შეშფოთებულია, მაგრამ მომავალს მაინც იმედის თვალით უყურებს.

მას სჯერა, რომ ძალიან მალე ქვეყანა გაერთიანდება. გაერთიანებამდე კი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობას კიდევ ერთხელ მიმართა და დანგრეული ბერლინის კედელი გაახსენა.

**გიორგი მარგველაშვილი:**

— მინდა მივმართო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბერლინის კედელი დაინგრეოდა და გაერთიანებული გერმანიის ლიდერი აღმოსავლეთ გერმანიის მკვიდრი გახდებოდა. იმედი მაქვს, დადგება დრო, როდესაც საქართველო ხელოვნურად აღმართულ კედლებს დაანგრევს და ერთიანი საქართველოს ლიდერი კედლის მიღმა მცხოვრები საქართველოს მოქალაქე გახდება. დადგება დრო, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან გახლეჩილი საზოგადოება გაერთიანდება, როდესაც ქართველები, აფხაზები, ოსები შევძლებთ ვიპოვოთ ის გამაერთიანებელი, რომლითაც დევნილები უსაფრთხოდ უკან დაბრუნდებიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნათია ხურცილავა

# დავით დარჩიაშვილი: „მარგველაშვილის აქცენტები სწორი იყო“

**„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტში პრეზიდენტ მარგველაშვილის ყოველწლიურ გამოსვლაზე საუბრობს.**

***— ბატონო დავით, პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას პარლამენტში როგორ შეაფასებთ, რამდენად სწორი აქცენტები ჰქონდა დასმული?***

— პრეზიდენტი თავისი გამოსვლის პირველივე სიტყვებიდან ძალიან ზუსტი იყო. მე მისი გამოსვლა ძალიან მომეწონა. სწორი იყო აქცენტები. პრაქტიკულად, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თქვა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა თეორიულად არის რეფორმების შანსი, მაგრამ, ამავდროულად, არის ხელისუფლების, ძალაუფლების უზურპაციის საფრთხე.

პრეზიდენტი მთელ ამ გამოსვლაში დიპლომატიურად საუბრობდა. ის ხელისუფლებაში მოვიდა მაშინ, როდესაც ივანიშვილი მოვიდა. ამ გზით მოვიდა ის ხელისუფლებაში, სხვაგვარად ვერ მოვიდოდა. ბუნებრივია, რომ დღეს ზოგი წუხილს გამოთქვამს, რატომ არ ისაუბრა ივანიშვილზე, ვერ ისაუბრებდა. თუმცა, ვერ უარვყოფთ, რომ სწორი აქცენტები გააკეთა, ძალიან სწორი. ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეს ქვეყანაში რეალურად არის: სასამართლო სისტემის პრობლემაზე, ხელისუფლების ვულგარულობაზე, თავზე ხელაღებულობაზე, განსხვავებული აზრის მიუღებლობაზე, ადამიანის უფლებებზე.

***— რამდენად ადეკვატური იყო საპარლამენტო უმრავლესობა თავის შეფასებებში? ბესელიამ განაცხადა, რომ პრეზიდენტი არაობიექტური იყო.***

— სამწუხაროდ, სრულიად არაადეკვატური განცხადებები მოვისმინეთ უმრავლესობის მხრიდან. ეს იყო ნიშნის მოგებით საუბარი: მე ვარ, რაც ვარ! ეს იყო ბესელიას კომენტარი და, სამწუხაროდ, ვოლსკის კომენტარიც. ვოლსკი ბევრად უფრო გამოცდილია ამ შემთხვევაში. მას სხვა გზა არ ჰქონდა და ამიტომ გააკეთა მსგავსი განცხადება, რადგან უფროსი ძმა უყურებს ზევიდან, მაგრამ ბესელია ერთმნიშვნელოვნად დღევანდელი პოლიტიკის ნეგატიური ლაქაა. წარმოდგენა არ აქვთ, თუ რასთან აქვთ შეხება, რა არის უსაფრთხოება, რა არის საზოგადოების გაერთიანება, რა არის ლიდერობა, როგორ უნდა დადგე უფრო მაღლა ანუ ამაღლდე ვიწრო, პროვინციული ინტერესებიდან, თუ გაქვს ასეთი დიდი თანამდებობა.

***— პრემიერმა კვირიკაშვილმა თქვა, ვისურვებდი, პრეზიდენტის გამოსვლა ბევრად უფრო მრავლისმომცველი, ბევრად უფრო ღრმა და ობიექტური ყოფილიყოო.***

— პრემიერისადმი ჩემი აზრი ორგვარია: ერთი მხრივ, ეს ადამიანი გარკვეულ შინაგან ტაქტს უდავოდ ფლობს, მაგრამ ვერასდროს გამოავლენს ამ ტაქტს, სოლოლაკიდან უფროსი ძმის ფაქტორის გათვალისწინებით. „მას რომ ეწყინოს“ — ასეთია მისი დამოკიდებულება. შეიძლება, მე ვცდები და გიორგი კვირიკაშვილი თავის ამ შეფასებაში სრულიად გულწრფელია. ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ, მაშინ, ძალიან ცდება, რაც ასევე ცუდია.

***— პრეზიდენტის გამოსვლაში რა დაგაკლდათ?***

— ნიკა მელიას ვეთანხმები, რომ მან არ ისაუბრა ბიძინა ივანიშვილზე. მარგველაშვილმა ისაუბრა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სისტემურ პრობლემებზე, დაახასიათა, სექტორების მიხედვით სად რა სერიოზული პრობლემა აქვს საქართველოს იმისთვის, რომ ცივილიზებულ ქვეყნად შედგეს.

***— ექსპერტები ხშირად ამბობენ, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ერთ ვადაში არ ამოწურავს პოლიტიკურ კარიერას. რეიტინგიც, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა, მას ხელს უწყობს ამაში. გააგრძელებს პოლიტიკურ მომავალს მარგველაშვილი?***



— ეს არის რეიტინგი, რომელიც ასე გამოიყურება: თავის თანამდებობაზე ვინც ამართლებს. ეს რეიტინგი აჩვენებს ხალხის თვალში, თანამდებობის პირი სკამზე სწორად ზის თუ არა. ვიმეორებ, ეს რეიტინგი ამას ნიშნავს და სხვას არაფერს. ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში მას ასეთი მაღალი რეიტინგი ექნება.

***— ბატონო დავით, მარგველაშვილის პოლიტიკურ მომავალზე ვერაფერს იტყვით? მის გამოსვლაში ეს გზავნილები ვერ დაინახეთ?***

— პოლიტიკური მომავალი მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. ჩვენ ერთ დროს ერთად ვკითხულობდით ლექციებს. ის გამოსვლა, რომელიც მას გუშინ პარლამენტში ჰქონდა, შეიძლება, განათლებით ფილოსოფოსის გულახდილი გამოსვლა იყო, გარკვეული დიპლომატიური ეტიკეტის გათვალისწინებით და არაფერი საერთო არ ჰქონდეს მომავალ პოლიტიკასთან, ან შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ ეს იყო განაცხადი, მაგრამ მე ამ სპეკულაციებში შესვლა არ მინდა. ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ქვეყნისთვის კარგი მგონია ის, რაც პარლამენტის ტრიბუნიდან გაისმა.

# სალომე ზურაბიშვილი: „პრეზიდენტის არჩევითობა კითხვის ნიშნის ქვეშ მარგველაშვილმა დააყენა“

## ნიკა მელია: „ხალხს არ სურს ივანიშვილის ბაღში ცხოვრება“

შორენა მარსაგიშვილი

**გიორგი მარგველაშვილის ყოველწლიურ ანგარიშს ტრადიციული ვნებათაღელვა მოჰყვა. „ქართულმა ოცნებამ" პრეზიდენტი აქცენტების არასწორ გაკეთებაში დაადანაშაულა, ოპოზიციამ კი იმის გამო გამოთქვა წუხილი, რომ უმრავლესობა საქმის კეთების ნაცვლად მარგველაშვილს ეჩხუბება.**

### ტრადიციული და არანეიტრალური პრეზიდენტი

დეპუტატებისგან განსხვავებით, პრეზიდენტის გამოსვლა უფრო მოკრძალებულად შეაფასა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

ჟურნალისტებთან საუბარში პრემიერმა განაცხადა, რომ მას სურდა პრეზიდენტის გამოსვლა უფრო ღრმა და უფრო ობიექტური ყოფილიყო.

— ეს იყო ტრადიციული გამოსვლა, სადაც პრეზიდენტმა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებები წარმოადგინა. შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მთელ რიგ მიმართულებებზე, როგორიცაა სასამართლო, ეკონომიკური განვითარება, დემოკრატიის და დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარება, არა მხოლოდ ჩემი აზრით, არამედ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების აზრით, შესანიშნავი პროგრესია. ვისურვებდი, რომ პრეზიდენტის გამოსვლა ყოფილიყო უფრო მრავლის მომცველი, უფრო ღრმა და უფრო ობიექტური, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მარგველაშვილის მიმართ ტრადიციულად მკაცრი იყო იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია. მისი თქმით, პრეზიდენტმა ცალმხრივი და არაობიექტური აქცენტები გააკეთა. მან პრეზიდენტის გამოსვლას რეალობასთან აცდენილიც უწოდა.

ბესელია იმის გამოც იყო დამწუხრებული, რომ მარგველაშვილმა ქვეყნის მიღწევებზე კრინტიც კი არ დაძრა.



— აქცენტები იყო მცდარი, ცალმხრივი, არაობიექტური, მიკერძოებული, არანეიტრალური. პრეზიდენტი ისე წარმოჩინდა, როგორც მხარე, რაც ძალიან სამწუხაროა. როცა საპარლამენტო უმრავლესობას საკუთარ თავში ჩაკეტილ, დიალოგის არმოსურნეს უწოდებ და ვითარებას აფასებ, როგორც საფრთხის შემცველს, ეს მაფიქრებინებს, რომ სამწუხაროდ, მისი აქცენტები რეალობას აცდენილი იყოს. შეგვიძლია, მისი ყველა აქცენტის და შეფასების სრულიად საპირისპირო რეალობაზე ვისაუბროთ.

ასევე შეგვიძლია, ფაქტებით ვისაუბროთ იმაზე, ქვეყანას რამდენად მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს და პრეზიდენტს ძალიან ბევრი რამის თქმა დაავიწყდა, ან უბრალოდ არ გაიხსენა, როცა განსაკუთრებით საქმე ადამიანის უფლებების სფეროს, სისტემურ რეფორმებს, სამართლის უზენაესობის საკითხებს და იმ დიდ დინამიკას ეხება, რომლითაც საქართველო ლიდერია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, — განაცხადა ბესელიამ.

მისი თქმით, სივრცე, საიდანაც პრეზიდენტი პარლამენტს ესაუბრება, უფრო საპირისპირო მხარეა და არა როგორც ნეიტრალური შემფასებელი,

— სხვა შემთხვევაში, არც ასეთი დასაწყისი იქნებოდა და არც მნიშვნელოვანი საკითხები გამორჩებოდა, რაც უდავოდ აღნიშვნას ითვალისწინებს, — აღნიშნა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

მარგველაშვილს არანეიტრალიტეტში ბრალი დამოუკიდებელმა დეპუტატმა სალომე ზურაბიშვილმაც დასდო. დეპუტატის თქმით, პრეზიდენტმა ვერ შეიგნო, რომ ყველა ქართველის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო.

— ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ძლიერი ლეგიტიმაციის მატარებელია. ამით ის იმსახურებს სხვა ხარისხის ნდობას, ვიდრე უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი. შესაძლებლობა ეძლევა, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ითამაშოს შემწყნარებლის, გამაერთიანებლის როლი და გახდეს სახელმწიფოს ერთიანობის, უწყვეტელობის, სუვერენიტეტის სიმბოლო, — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

მან პრეზიდენტს იმის გამოც უსაყვედურა, რომ „სახელმწიფო მოღვაწეობიდან პოლიტიკურ არენაში გადახვედი“.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა პრეზიდენტის მიმართ სხვა პრეტენზიები ასეთი სახით ჩამოაყალიბა:

— თქვენვე კითხვის ქვეშ დააყენეთ პრეზიდენტის არჩევითობის პრინციპი. სამწუხაროდ, როცა შეწყალების დროს თქვენი ახლობლების მიმართ უფრო მეტ ლმობიერებას იჩენთ, ვიდრე უპატრონო მოქალაქეების მიმართ, თქვენ თქვენს მორალურ ავტორიტეტს აქვეითებთ. სამწუხაროდ, ვეტოთი ხმალაობთ, იმის მაგივრად, რომ ეს ბერკეტი უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენოთ, როცა ნამდვილად დემოკრატიული ან სახელმწიფოებრივი პრინციპი ირღვევა ან საფრთხის ქვეშ დგება. იმის მაგივრად, რომ საზოგადოება მიგეჩვიათ ჯანმრთელ დისკუსიას, აზრთა სხვადასხვაობას და ურთიერთპატივისცემას, ამის ნაცვლად, დაპირისპირების და დაძაბვის მაგალითს აძლევთ, რითაც გამაერთიანებლის როლს აკნინებთ.

სამწუხაროდ, თქვენ ვერ შეიგნეთ, რომ ყველა ქართველის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყავით და დღემდე ველოდები თქვენ მიერ გამოთქმულ პოზიციას უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მიმართ, მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას ძალიან ადვილად შეეგუეთ.

სალომე ზურაბიშვილმა მარგველაშვილს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ მიდგომაც დაუწუნა. დეპუტატის აზრით, ამ მიმართულებით ახალი არაფერი თქმულა.

პრეზიდენტის ანგარიშით გულშეწუხებულ უმრავლესობას ზურაბიშვილის გამოსვლა ეამა და ის მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

უფრო მკაცრად გააკრიტიკა პრეზიდენტი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა. ჟურნალისტებთან საუბარში მინისტრმა აღნიშნა, რომ მარგველაშვილის გამოსვლა ქვეყნისთვის დამაზიანებელი იყო.

სუბარმა ისიც თქვა, რომ ამ გამოსვლიდან კარგს არაფერს ელოდა. ის ერთგვარად კმაყოფილიც კი ჩანდა, რომ მისი მოლოდინი არ გამართლდა:

— რაღაცნაირად წინასწარ იქმნება ხოლმე კოსმიური მოლოდინი, რომ რაღაც ხდება. ამ დროს, ბუნებრივია, ვერაფერი ვერ მოხდება იმიტომ, რომ პრეზიდენტი არ არის ხელისუფლების ხელმძღვანელი.

პრეზიდენტი ვერ ილაპარაკებს პოლიტიკაზე, რომელიც მან გაატარა. ვერ ილაპარაკებს იმ პოლიტიკაზე, რომელსაც გაატარებს, ვერც საშინაოზე და ვერც საგარეოზე. ვერ ისაუბრებს ეკონომიკაზე და ვერც სასამართლოზე. მას შეუძლია მოსაზრებები გამოთქვას იმ საკითხებზე, რომელსაც მიიჩნევს მნიშვნელოვნად.

ლტოლვილთა მინისტრი განსაკუთრებით სასამართლოსთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებამ გააღიზიანა.

— მისი ძალიან ბევრი შეფასება



არა მხოლოდ არასწორი და უსამართლო, არამედ დამაზიანებელიც იყო. როდესაც ის საუბრობდა, რომ სასამართლო არის კრიზისში, ეს ასე არ არის. სასამართლო დღეს კრიზისში არ არის. იდეალური სასამართლო მსოფლიოში არ არსებობს და მათ შორის ქართულ სასამართლოსაც ბევრი აკლია იდეალურობამდე, — აღნიშნა მან და ერი და მეოცნებეები იმით დაამშვიდა, რომ ახლანდელი სასამართლო წინას სჯობია.

### ივანიშვილის ბაღი და ჩხუბი პრეზიდენტთან

მარგველაშვილის გამოსვლისას ყოფილი ხელისუფლების წარმომად-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ჭიაბერაშვილი: „მთავრობა ბლუჯა ლარს დასდევს ხალხის ჯიბეში, თვითონ კი არ უნდა, მოიკლოს კეთილდღეობა“



ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრმა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება“ არ ზრდის პენსიას და ყოველწლიურად იზრდება სამთავრობო ხარჯი.

„ევროპული საქართველო“ პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის შემდგომი დებატების ერთ-ერთ საკვანძო საკითხად იმ პრობლემებზე საუბარს მიიჩნევს, რაც ჩვენს მოქალაქეებს ყველაზე მეტად აწუხებთ. ესაა საყოველთაო გაჭირვება, უმუშევრობა, ფასების ზრდა, შემოსავლების კლება.

„ევროპული საქართველო“ მიიჩნევს, რომ ყველა ამ პრობლემის გასაღები იქნებოდა მაღალი ეკონომიკური ზრდა, რომელიც გაზრდიდა შემოსავლებს თითოეულ ოჯახშიც და სახელმწიფო ბიუჯეტშიც, თან ისე, რომ არ გახდებოდა საჭირო გადასახადების გაზრდა, რაც, სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ უკვე გააკეთა, როდესაც გაზარდა აქციზი საწვავზე – ბენზინზე, დიზელზე, გაზზე.

„ქართული ოცნების“ მიერ საწვავზე გადასახადის გაზრდამ ახალი ბიძგი მისცა პროდუქტზე ფასების ზრდას, რომელიც ისედაც უკვე იყო ჩვენი მოქალაქეებისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა. ამაზე მთავრობა ეროვნულმა ბანკმაც გააფრთხილა. სამწუხაროდ, მთავრობამ არავის გაფრთხილება არ შეისმინა და თებერვალ-მარტში ინფლაცია გასცდა სამიზნე 4%-ს და 5.5% შეადგინა.

ამ საყოველთაო გაჭირვებაში, როდესაც დასაქმება არ მატულობს, არ იზრდება შემოსავლები, მთავრობა არ ზრდის პენსიას და საარსებო შემწეობას ართმევს ათიათასობით გაჭირვებულ ადამიანს, ფასების ზრდისა და პროდუქტის გაძვირების გამო ოჯახების შემოსავალი ვეღარ წვდება ელემენტარულ საჭიროებებსაც კი.

აქამდე ქვეყანა „ქართული ოცნების“ მიერ გადასახადების ზრდამ, ბიუჯეტის გაბერილმა ხარჯებმა, მთავრობის სიხარბემ და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვამ მიიყვანა.

„ქართული ოცნება“ არ ზრდის პენსიას, სამაგიეროდ, ყოველწლიურად იზრდება სამთავრობო ხარჯი, ჩინოვნიკების კომფორტი და კეთილდღეობა.

უფრო მეტიც, „ქართულმა ოცნებამ“ არა მხოლოდ დღეს ჩაუყო ხელი ჯიბეში დღევანდელ თაობებს გადასახადების გაზრდით, არამედ ვალების უპასუხისმგებლოდ აღებით ჯიბეში ხელს უყოფს მომავალ თაობებსაც.

სამთავრობო ვალმა შევარდნაძის პერიოდის სავალალო რეკორდი მოხსნა და 44% შეადგინა.

მთავრობა ბლუჯა ლარს დასდევს ხალხის ჯიბეში, თვითონ კი არ უნდა, მოიკლოს კეთილდღეობა, რომ სწორედ მეტი ფული დარჩეს ხალხს, ადამიანები დასაქმდნენ, გაიზარდოს შემოსავლები, გაიზარდოს კეთილდღეობა.

„ევროპულმა საქართველომ“ შემოგთავაზათ მკაფიო და კონკრეტული გეგმა, როგორ დავეხმაროთ მეწარმეებს, მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს და დასაქმების ძირითადი წყაროა.

„ევროპული საქართველოს“ გეგმით:

უნდა განახევრდეს აქციზი საწვავზე – ბენზინზე, დიზელზე, გაზზე ვისაც დღიურად 270 ლარზე ნაკლები ბრუნვა აქვს, არ დაიბეგროს საერთოდ ვისაც დღიურად 550 ლარზე ნაკლები ბრუნვა აქვს, არ გადაიხადოს დღგ საშემოსავლო გადასახადი შემცირდეს 20-დან 15%-მდე, ხოლო განაწილებული მოგებისა – 15-დან 10%-მდე „ევროპული საქართველოს“ მიერ შემოთავაზებული ნაბიჯების გადადგმა დიდი შეღავათი იქნებოდა ათასობით პატარა მაღაზიის, კვების ობიექტის, სამშენებლო მასალების მცირე საამქროს, საცხობის, სილამაზის სალონის, მანქანის სახელოსნოს, სამრეცხაოს, სახერხისა და სხვა წვრილი საწარმოსათვის.

„ევროპული საქართველოს“ მიერ შემოთავაზებული ეს ნაბიჯები გაზრდიდა დასაქმებას, დაასტაბილურებდა ფასებს, შეამცირებდა საყოველთაო გაჭირვებას. მაგრამ ამის გაკეთებას სჭირდება ერთი რამ: მთავრობამ უნდა დაძლიოს თავისი სიხარბე, მოიკლოს თვითონ და კეთილდღეობისაკენ გაუხსნას ხალხს გზა.

ეს შესაძლებელია. ეს შესაძლებელია ისე, რომ არ შევეხოთ განათლების, ჯანდაცვის, პოლიციისა და ჯარის ხარჯებს. უფრო მეტიც, თუ მთავრობა ამ ნაბიჯებს გადადგამს, რასაც „ევროპული საქართველო“ გთავაზობთ, მეტი ფინანსები გაჩნდება საიმისდო, რომ პენსია გაიზარდოს, ჯარს და პოლიციას მიეხედოს, მომავალმა თაობებმა უკეთესი განათლება მიიღონ, სოციალურად დაუცველი ათიათასობით ადამიანი კი ყოველთვიურად საარსებო შემწეობის გარეშე არ რჩებოდეს.

ეს უნდა გააკეთოთ.

ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთ.

გაჭირვება და სიდუხჭირე, რომელიც მე-5 წელია იზრდება, გაიძულებთ, რომ ეს გააკეთოთ, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა პარლამენტში.

# სალომე ზურაბიშვილი: „პრეზიდენტის არჩევითობა კითხვის ნიშნის ქვეშ მარგველაშვილმა დააყენა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გენლებს ტაშით ხელები არ გადაუტყავებიათ. არც პრეზიდენტი შეუქიათ, მათ გამოსვლებისთვის კუთვნილი დრო ხელისუფლების ლანძღვისთვის გამოიყენეს.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობას ევროპულ ქვეყანაში სურს ცხოვრება და არა ივანიშვილის ბაღში. 7 აპრილს გამართულმა პარლამენტის სხდომამ



ის კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ამ ქვეყანას მთავრობა არ ჰყავს.

– მთავრობის მიმართ მისალმება რომც გინდოდეს, უბრალოდ ისინი აქ არ არიან. რაც ნათლად წარმოაჩენს მთავრობის დამოკიდებულებას პარლამენტის, პრეზიდენტის ინსტიტუტის და პრეზიდენტის მიმართ. სად ვართ კოლეგებო, რას ვშვებით? რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ, როგორ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება? ეს კითხვები და კითხვა – „გვეშველება რამე?“ ძალიან ხშირად ისმის უკვე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ამ ქვეყანას ჰყავს არაფორმალური, ოლიგარქიული მმართველი, რომელიც ანადგურებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, მათ შორის პრეზიდენტის ინსტიტუტს, ფეხქვეშ თელავს კონსტიტუციას, – აღნიშნა მელიამ.

მისი თქმით, ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს მედიის დამორჩილებისთვისაც. დეპუტატი წუხს, რომ ეს ყველაფერი უკვე, როგორც ნორმა, ისე იქცა.

მისი თქმით, ახლა ყველაფერი ისე ხდება, როგორც ივანიშვილს უნდა, მაგრამ ეს გამუდმებით ასე იქნება. მას ხალხის დიდი იმედი აქვს:

– მოსახლეობას სურს იცხოვროს ევროპულ სახელმწიფოში და არ იცხოვროს ივანიშვილის ბაღში. მინისტრები რომ აქ იყვნენ, მათგან განსხვავებით, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ სურს ივანიშვილს ბაღში ცხოვრება, კალაძისგან და კვირიკაშვილისგან განსხვავებით.

ნიკა მელია „ოცნებას“ დაჰპირდა, რამდენჯერაც საპარლამენტო ტრიბუნას გამოიყენებს, ხელისუფლებას იმ-



დენჯერ გაახსენებს, რომ პარლამენტში მათი რაოდენობა ხალხის განწყობას არ ასახავს. გამოსვლის დასასრულს მან ხელისუფლებას ერთი რჩევაც მისცა. მისი აზრით, მათთვისვე იქნება უკეთესი თუ ხალხს და ოპოზიციას მოუსმენენ.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი აბესაძემ კი მეოცნებეთა გაანჩხლებას თავისებური ახსნა მოუძებნა. მისი თქმით, „ოცნება“ პრეზიდენტს მხოლოდ იმიტომ ეჩხუბება, რომ თავიანთი უუნარობა გადაფაროს.

აბესაძემ პრეზიდენტიც „გამოიჭირა“ არასწორ შეფასებაში, რომელიც ისევ „ოცნების“ საწინააღმდეგოდ გამოიყენა.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თქვენი რეფორმები ქაღალდზე არსებული ციფრები და წარმატებაა, თუმცა ნამდვილად ვერ დავეთანხმები ამაში, რადგან ქაღალდზეც არ გაქვთ თქვენ წარმატება ქვეყნის განვითარების გზაზე, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

## რა საჭიროა პრეზიდენტის ინსტიტუტი

„ოცნების“ კრულვის გარდა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრეზიდენტის ინსტიტუტიც გამოიტირეს. „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა გოგორიშვილი იმასაც კი კითხულობს, რატომ უნდა დარჩეს ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტიო.

ეს კითხვა გოგორიშვილს იმ ცვლილებებმა გაუჩინა, რომლებიც კონსტიტუციაში შედის.

– საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტი აღარ იქნება მთავარსარდალი, აღარ უხელმძღვანელებს უშიშროების საბჭოს, ვეღარ დანიშნავს წარმომადგენელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ვეღარ წარადგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სასამართლოს წევრებს, ვეღარ გამოიყენებს ვეტოს უფლებას ბიუჯეტის შესახებ და საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ნებისმიერ ნორმატიულ აქტს, რომელსაც პრეზიდენტი მოაწერს ხელს, დასჭირდება თანახელმოწერა მთავრობის მიერ, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა.

რატომ ვტოვებთ საერთოდ პრეზიდენტის ინსტიტუტს და რატომ არ ვაუქმებთ ამ ინსტიტუტს, როცა არანაირი ფუნქცია, იმ შემთხვევაში, თუ ეს საკონსტიტუციო ცვლილება იქნება მიღებული, ნამდვილად აღარ ექნება საქართველოს პრეზიდენტს? – იკითხა გოგორიშვილმა.

მის გარდა ამ თემაზე ყოფილი ხელისუფლების სხვა წევრებმაც დასვეს კითხვები. გოგორიშვილის, მისი მოქმედი თუ ყოფილი თანაპარტიელების შეშფოთებას უსაფუძვლო უწოდა უმრავლესობის დეპუტატმა ზაზა გაბუნიამ.

მან ყოფილი ხელისუფლება დემოკრატიული პროცესებისადმი ალერგიულობაში დაადანაშაულა და მათი ბრალდებები საპასუხოდ შემდეგი არგუმენტები წარმოადგინა:

– თქვენს ამ გამოსვლებს ისმენს საზოგადოება, რომელმაც იცის რამდენად დიდი უფსკრულია თქვენს სიტყვებსა და ქმედებებს შორის. დღესაც აქ, თქვენი ტყუილებით უპასუხისმგებლობის მტვერი და ბუღი დააყენეთ. ეს არის ის, რაც გჩვევიათ და ტრადიციულია. ცხელ-ცხელი ტყუილი, რაც ხათუნა გოგორიშვილისგან მოვისმინეთ, არის ის, თითქოს პრეზიდენტის უფლებები გადაიხედება და შეიცვლება. მე მინდა საზოგადოებას განვუმარტო, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ არც სტატუსი პრეზიდენტის და არც მისი უფლებამოსილებები არ



შეიცვლება. პრეზიდენტი იქნება სახელმწიფოს მეთაური. პრეზიდენტი იქნება მთავარსარდალი.

ეს ისეთივე ტყუილია, როგორც ამბობდით, თითქოს ჩვენ ვართ პრორუსული მთავრობა და ამ დროს უვიზო მიმოსვლა და ასოცირების ხელშეკრულება მოვუტანეთ ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა გაბუნიამ.

## მადლობა და ბრალდება მარგველაშვილს

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა მამუკა მდინარაძემ პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა, რის შემდეგაც თავს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დააყარა.

მდინარაძე იმით იყო გულმოკლული, რომ მარგველაშვილმა „ოცნებას“ რაღაცები დააბრალა.

– მინდა პრეზიდენტს მადლობაც გადავუხადო, თუნდაც იმ რამდენიმე წინადადებისთვის, როდესაც ის შეეხო წარმატებულ რეფორმებს, ძირეულ ცვლილებებს ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში. თუმცა არ შეიძლება სახელი არ დაერქვას გამოსვლის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით დასაწყისსა და დაბოლოებას. არსებობს კრიტიკა, უტრირებული კრიტიკაც და არსებობს დაბრალებაც – ბრალდებები. სწორედ ბრალდებები ვნახეთ დღეს. გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ არა კრიტიკა და პოზიტივი, არამედ ბრალდებები და პოზიტივები აირია ერთმანეთში, თუმცა ბრალდებების ტონი იყო გაცილებით ხისტი. მაშინ, როდესაც არსებობს თანხმობა ქვეყნის განვითარების ფუნდამენტურ საკითხებზე, საუბარი მაქვს საგარეო კურსზე, ეკონომიკურ პოლიტიკაზე და შესაბამისი განვითარების ტენდენციებზე, გაოცებას იწვევს ბრალდების ასეთი ფორმა, – განაცხადა მდინარაძემ.

ის ნაწყენია იმის გამოც, რომ პრეზიდენტი საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში არ მონაწილეობს. დეპუტატის თქმით, მარგველაშვილი ამ პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთოს.

– მივმართავ ბატონ პრეზიდენტს, დასანანია, რომ არ იღებს ის მონაწილეობას იმ ისტორიულ პროცესში, რასაც ჰქვია ჩვენი ქვეყნის ახალი საკონსტიტუციო მოწყობა. თქვენ არჩიეთ პარალელური პროცესების მართვა სამწუხაროდ, რაც მოკლებულია საგნობრივ, რეალურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძვლებს, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

პრეზიდენტის გამოსვლა არც ვიცე-სპიკერ გია ვოლსკის მოსწონებია, თუმცა მისი სადარდებელი უფრო სხვა აღმოჩნდა. ის შეწუხებულია იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილზე მუდმივად შეტევა მიმდინარეობს.



მისივე თქმით, არც პრეზიდენტის მოხსენებაში და არც ოპოზიციონერი დეპუტატების მხრიდან ყოფილა საუბარი იმაზე, რასაც საქართველოს ხელისუფლებამ მიაღწია.

– ჩვენი ოცნება სხვა ოცნებებთან ერთად არის ის, რომ ამ დარბაზში თანამოაზრეთა დიდი გუნდი მსჯელობდეს ამა თუ იმ საკითხზე დაპირისპირებული მოსაზრებებით, თუმცა, თანამოაზრეები იყვნენ იმაში, რომ საქართველომ გაიმარჯვოს.

დღეს რეალურად ვხედავთ შემდეგ სურათს, სპეკულაცია, დაპირისპირებები, ჩასაფრება, სოციალური პრობლემებით მანიპულირება, რომელთა შემქმნელიც რეალურად თავად ის ხალხია, რომელიც დღეს ჩვენ ამ პრობლემებზე გვესაუბრება.

სამწუხაროა, რომ სიღრმისეულად ქვეყნის წინაშე მდგარი ეს რეალობა არ არის შეფასებული დღევანდელ მოხსენებაში, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

მარიამ მჭედლიშვილი

# რა საფრთხეს ქმნის სირიაში წასული ჯიჰადისტების სახლებში დაბრუნება

## რატომ გადავიდნენ ტერორისტები მცირე მასშტაბის ტერორისტულ აქტებზე

**უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მიუხედავად, რუსეთში ტერორისტული აქტების სერიას ვარაუდობენ.**

— სანკტ-პეტერბურგში განხორციელებული აფეთქება რუსეთის მიმართ შურისძიების დასაწყისია. ესაა პასუხი რუსეთის ავიადარტყმებზე „ბოევიკების“ წინააღმდეგ, — ასეთი მოსაზრება გამოთქვა ანონიმურმა წყარომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოებიდან „მოსკოვსკი კომსომოლეცთან“ საუბარში.

ავიაიერიშების გამო ანგარიშსწორების თაობაზე მოსაზრება ტერაქტის დღეს, 3 აპრილსაც გაისმა, რასაც რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ლავროვმა ცინიზმი უწოდა.

ძალოვანი მაღალჩინოსანი დარწმუნებულია, რომ ამ სანკტ-პეტერბურგის მეტროში აფეთქებას ტერაქტების სერია მოჰყვება.

ტერორისტულმა დაჯგუფება ისლამურმა სახელმწიფომ, იმავე დაიშმა, რუსეთს ჯიჰადი გამოუცხადა, თუმცა აქამდე მასშტაბურად არ გააქტიურებულა.

მაგრამ რადიკალი ისლამისტები ბოლო თვეებში არ გაჩერებულან საქართველოს საზღვართან ახლოს, ჩრდილოეთ კავკასიაში.

ისლამურმა სახელმწიფომ იკისრა პასუხისმგებლობა ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ ბევრ თავდასხმაზე. მათ იერიშები ძირითადად პოლიციის განყოფილებებზე მიჰქონდათ. ამ საქმეში ჩაბმული იყვნენ „იმარატ კავკასიის“ ჯიჰადისტებიც, რომელთა დიდი ნაწილი ისლამურ სახელმწიფოს შეეკრა.

— ტერორისტების მიზანია, მოახდინონ დესტაბილიზაცია ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის რუსეთში, — აცხადებს ანალიტიკურ ცენტრ „რელიგია და საზოგადოების“ თავმჯდომარე ალექსეი გრიშინი.

მისი ინფორმაციით, დაჯგუფება ისლამურმა სახელმწიფომ მეგაპოლისებში ძალოვნების ზომების საპასუხოდ თავისი ტაქტიკა შეცვალა:

— ადრე მათ გათვლა ჰქონდათ იმაზე, რომ მოაწყობდნენ მსხვილ ტერორისტულ აქტებს, მაგრამ ამისათვის 100-დან 150-მდე კაცის ამოქმედებაა საჭირო. სპეცსამსახურები ინტენსიურად მუშაობენ, რის შედეგადაც ვერ ხერხდებოდა ამ გეგმების შესრულება. ამიტომ დაჯგუფება გადავიდა „მცირე“ ტერაქტებზე. ამით ტერორისტები ზღუდავენ სპეცსამსახურების პრევენციულ შესაძლებლობებს, მათ შორის, აგენტურულ მუშაობას.

გავრცელებული მონაცემებით, პეტერბურგის აფეთქებაში ერთი თვითმკვლელი მონაწილეობდა. „კომერსანტის“ ინფორმაციით, უნდა ყოფილიყო მეორე მონაწილეც, რომელიც შემთხვევის ადგილზე არ მივიდა.

საზოგადოებრივი დიპლომატიის განვითარების კომისიის თავმჯდომარე ელენა სუტორმინა აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ტერორიზმისაგან არცერთი სახელმწიფო არ არის დაცული, განსაკუთრებით ახლა, როცა დაიშს ავიწროებენ და მისი წევრები თავიანთ ქვეყნებში ბრუნდებიან.

იგი მოუწოდებს მოქალაქეებს, იყვნენ ფხიზლად და მეზობლად საეჭვო პირების აღმოჩენის შემთხვევაში სამართალდამცავებს აცნობონ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის წარმომადგენელი სერგეი ენიკოპოლოვი რჩევებს აძლევს მედიას. მისი თქმით, ტერაქტის გაშუქებისას დაუშვებელია მისი ამსახველი კადრების ხშირად დატრიალება. ტერორისტებს გათვლა აქვთ იმაზე, რომ ასეთ სურათებს აშუქებენ. ეს არა მარტო ანგრევს ადამიანების დამოკიდებულებას



სახელმწიფოსა და ხელისუფლების მიმართ, არამედ, რეკლამას უკეთებს ტერორისტულ მოძრაობას.

ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ ტერაქტის მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ ის ადამიანებიც, რომლებმაც ამ კადრებს ტელევიზიით უყურეს. მათ აღენიშნებათ ისეთივე პოსტტრავმატული სიმპტომები, როგორიც ტერორისტული აქტის შემსწრეებსა და დაზარალებულებს. ეს სიმპტომებია გაღიზიანება, დეპრესია, უძილობა და სხვა.

## ხუდადოვზე აფთიაქი გაძარცვეს



ხუდადოვის 99-ში მდებარე აფთიაქი მიკო გაძარცვეს. დილით სამსახურში მისულ ფარმაცევტებს აფთიაქის კარი დაზიანებული დახვდათ. ჯერჯერობით უცნობია რა ოდენობის თანხაა წაღებული.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## რუსეთი აშშ-სთან საჰაერო მშვიდობის ხელშეკრულებას აჩერებს



რუსეთის საგარეო უწყების თქმით, რუსეთი აშშ-სთან გაფორმებულ მემორანდუმს აჩერებს, რომელიც სირიის საჰაერო სივრცეში ინციდენტების პრევენციისა და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეხება.

რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ იდლიბში ქიმიურ ინციდენტთან დაკავშირებული სიტუაცია ვაშინგტონმა საკუთარი ძალის დემონსტრაციისთვის საბაბად გამოიყენა.

შეგახსენებთ, აშშ-მ წერტილოვანი დარტყმები სირიაში, ჰომსის პროვინციაში იმ სამხედრო ბაზაზე განხორციელდა, საიდანაც ქიმიური თავდასხმა მოხდა. ავიაიერიშები ხმელთაშუა ზღვაში ორი გემიდან განხორციელდა.

ოფიციალურმა ვაშინგტონმა იერიში მას შემდეგ განახორციელა, რაც იდლიბის პროვინციაში, სავარაუდოდ ქიმიურ თავდასხმას 86-დან 100-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

## სოხუმში ბოროტმოქმედებმა მამაკაცი დაწვეს, მის მეუღლეს კი სასტიკად სცემეს

სოხუმში „მაიაკის“ რაიონში ყაჩაღობის მიზნით ოჯახზე თავდასხმა მოხდა. თავდამსხმელებმა ხანდაზმულ ქალს სცემეს, მისი მეუღლე კი დაწვეს. მამაკაცი სიცოცხლისთვის შეუსაბამო დაზიანებების მიღების შედეგად გარდაიცვალა. ქალი კი საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც მას რამდენიმესაათიანი სამედიცინო ჩარევა დასჭირდა.




## სუსმა ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღების და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი სოფელ ზედა ეწერში სევერიანე ბერულავა და მოქალაქე ბადრი შ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სევერიანე ბერულავამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ეწერში მდებარე ყოფილი ამბულატორიის შენობის აუქციონზე გატანაში და გამარჯვებაში დახმარების სანაცვლოდ, ბადრი შ-ს შუამავლობით, მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა 15.000 ლარი. მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 5.000 ლარი მათ მოქალაქეს წინასწარ გამოართვეს, რა დროსაც ისინი ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს. გადაცემული თანხა 5.000 ლარი ამოღებულია ნივთმტკიცებად.



გამოძიება ქრთამის აღების და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 11 წლამდე).

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეზე დაკავებულ პირებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა.

## ბათუმში სასტუმრო „სანაპიროს“ ლიფტის შახტში მამაკაცი ჩავარდა




ბათუმში, სასტუმრო „სანაპიროში“, ლიფტის შახტში მამაკაცი ჩავარდა. არსებული ინფორმაციით, ის ლიფტის ხელოსანია, რომელიც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც ბათუმის „რეფერალური“ საავადმყოფოს პრესსპიკერმა გიორგი ნიორაძემ განაცხადა, მამაკაცი მრავლობითი მოტეხილობებით საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო-სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

## პატრიარქი: „მთელი მსოფლიო განსაცდელშია“

— მთელი მსოფლიო განსაცდელშია. როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ უფალი მასთან არის, ყველაფერი ადვილად დასაძლევია, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ქადაგებისას განაცხადა. სიონში ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით საღმრთო ლიტურგია დასრულდა.

წირვის შემდეგ პატრიარქმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და დღევანდელი დღე მიულოცა. პატრიარქმა ხარების დღესასწაულის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

— როდესაც ჩვენ ვამბობთ „ჩვენთან არს ღმერთი“ ყოველი მორწმუნე ადამიანი გრძნობს, რომ ჩვენთან არს ღმერთი. ეს რომ ასე არ იყოს, ადამიანი ვერ გაუძლებდა იმ განსაცდელს, იმ ტანჯვას, რომელიც მოუვლინა. როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ უფალი მასთან არის, ყველაფერი ადვილად დასაძლევია.

დღეს ჩვენ დიდ დღესასწაულს ვზეიმობთ, ხარებობას. ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეს არის უდიდესი დღესასწაული. როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, იმდენად დიდია ეს დღესასწაული, ჩიტი ბუდესაც კი არ იკეთებს ამ დღეს თავისთვის. სიხარული, სიყვარული ჩაქსოვილია ამ დღესასწაულში, — განაცხადა პატრიარქმა.




უწმინდესის თქმით, ხარების დღესასწაულის აღნიშვნა უძველესია. ებრაელები როდესაც ერთმანეთს ხვდებოდნენ, ესალმებოდნენ „გიხაროდენ“!

— ანგელოზი გაბრიელი ამ დღეს გამოეცხადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ დედას. „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანაა“. შევთხოვთ უფალს, წყალობა და სიხარული არ მოაკლდეს საქართველოს და მთელს მსოფლიოს. წყალობა და სიხარული აუცილებელია ჩვენთვის, რადგან მრავალი განსაცდელი მოუვლინა საქართველოს და მთელს მსოფლიოს.

უნდა ითქვას, რომ მთელი მსოფლიო განსაცდელშია. წყალობა ღვთისა და სიხარული არ მოგაკლოთ მამაზეციერმა, — ბრძანა ქადაგების ბოლოს უწმინდესმა.

## „ბანკი ქართუ“ ნუგზარ წიკლაურსა და გიორგი ონიანს სასამართლოში უჩივის

„ბანკი ქართუ“ ნაციონალური მოძრაობის წევრებს, ნუგზარ წიკლაურსა და გიორგი ონიანს სასამართლოში უჩივის და 30.000 ლარიან კომპენსაციას ითხოვს.

როგორც ბანკის განცხადებაშია ნათქვამი, ბანკმა სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა. „ბანკი ქართუ“ გაცნობებთ, რომ სასამართლოში უკვე შეტანილია სარჩელი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ.?

6 აპრილს, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ნ. წიკლაურმა გ. ონიანმა ცილისმწამებლური განცხადებებით სცადეს ბანკის რეპუტაციის შელახვა.??

ბანკი ქართუ
CARTU BANK

„ბანკი ქართუ“ მოითხოვს 10.000 ლარიან კომპენსაციას ამ ორი ცილისმწამებლისგან, ასევე პარტიისგან, რომელსაც ეს სუბიექტები წარმოადგენენ. საერთო ჯამში, 30.000 ლარს.?ამ თანხას „ბანკი ქართუ“ გადაურიცხავს „სოლიდარობის ფონდს, — ნათქვამია ბანკის განცხადებაში.

ნაციონალურმა მოძრაობამ კომპანია „ქართული საინვესტიციო ჯგუფი 21-ე“ და „ქართუ ბანკი“ თაღლითობაში დაადანაშაულა.

როგორც პარტიის წევრებმა გოგა ონიანმა და ნუგზარ წიკლაურმა განაცხადეს, კომპანიამ „ქართული საინვესტიციო ჯგუფი 21-ე“ 10 წლის წინ 50-მდე მძღოლს მანქანები ხელშეკრულებით გადასცა, რომლის მიხედვითაც, 48 ათასი ლარის დაფარვის შემდეგ ავტომობილები მძღოლებს დარჩებოდათ.

გოგა ონიანის განცხადებით, 2011 წელს კომპანიამ „ქართუ ბანკიდან“ 6 მილიონიანი სესხი აიღო, რისი უზრუნველყოფაც აღნიშნული მანქანებით მოხდა. გოგა ონიანის განცხადებით, მძღოლებმა თანხის უდიდესი ნაწილი დაფარეს, თუმცა კომპანიამ ბანკს სესხი ვერ გადაუხადა და ამიტომაც, „ქართუ ბანკი“ მძღოლებს მანქანებს ართმევს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პირველკლასელთა რეგისტრაცია 10 აპრილს დაიწყება

პირველკლასელთა რეგისტრაცია 10 აპრილს დაიწყება. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-



მინისტრო იუწყება, რეგისტრაცია სამ ეტაპად განხორციელდება:

I ეტაპია: 2017 წლის 10 აპრილი – 24 აპრილი. რეგისტრაცია განხორციელდება სკოლებში. რეგისტრირდებიან ის მოსწავლეები, რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში; რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია; რომლის ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

I ეტაპზე დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება სკოლაში 25 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით.

II ეტაპია: საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია 2017 წლის 8 მაისიდან 1-ელი ივნისის ჩათვლით.

შესაძლებელი იქნება იმ ბავშვების რეგისტრაცია, ვინც სკოლაში შესვლის ასაკს აკმაყოფილებს. რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე WWW.EMIS.GE

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში II ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

I და II ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

III ეტაპი მოიცავს პერიოდს: 19 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში, II ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილებზე, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ანუ სწავლის დაწყებისთვის უსრულდებათ 6 წელი. 2017-2018 სასწავლო წელი დაიწყება 15 სექტემბერს.

# ცხინვალის რეჟიმი დღეიდან 10 აპრილამდე დანარჩენ საქართველოსთან საზღვარს კეტავს



9 აპრილის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ოკუპირებული ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლება დანარჩენ საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვრის სამი დღით დაკეტვას აპირებს.

ამის შესახებ დეფაქტო უსაფრთხოების კომიტეტის პრესსამსახურში განაცხადეს.

– უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მიზნით, რაც საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას უკავშირდება, 7 აპრილის 20:00 საათიდან 10 აპრილამდე დროებით შეწყდება მოქალაქეთა გატარება საქართველოსთან გამარტივებულ საზღვარზე, – ნათქვამია ე.წ. უსაფრთხოების კომიტეტის განცხადებაში. მათივე ინფორმაციით, მოქალაქეთა გატარება ჩვეულ რეჟიმს 10 აპრილის 20:00-დან დაუბრუნდება.

9 აპრილს ცხინვალის რეჟიმი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის სახელის გადარქმევის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს.

# თურქი მებაჟეები საქართველოს ორ მოქალაქეს ფიზიკურად გაუსწორდნენ

არაოფიციალური ინფორმაციით, სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე თურქი მებაჟეები საქართველოს ორ მოქალაქეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. მათი მტკიცებით, შემთხვევა 7 აპრილს, დილით მოხდა.

– რომ გადადიოდა, საზღვარზე ჩაურტყეს „ნიფტალი“ (ერთდღიანი აკრძალვა თურქეთში შესვლაზე). ამ ბიჭმა არ იცოდა თურქული და ვერ მიხვდა, სად უნდა წასულიყო. როდესაც სხვა მიმართულებით წავიდა, მებაჟეები ფიზიკურად გაუსწორდნენ. ისე სცემეს, რომ ორი ადამიანი სასწრაფოს მანქანით რეანიმაციაში წაიყვანეს, – განაცხადა რეზო ჩანდარაძემ.

„ინტერპრესნიუსი“ აღნიშნულის გადასამოწმებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა, თუმცა უწყებაში განაცხადეს, რომ ვინაიდან ინციდენტი თურქეთის მხარეს მოხდა, ინფორმა-



ცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა ჰქონდეს. თავის მხრივ, მიხეილ ჯანელიძის უწყებაში განმარტეს, რომ მათთვის მსგავსი ტიპის ინფორმაცია ცნობილი არაა.

„ინტერპრესნიუსი“ ტრაპზონში საქართველოს საკონსულოსაც დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ ინფორმაცია ასეთი ჭორის გავრცელების შესახებ საქართველოს საპატრულო პოლიციისგან მიიღეს და ახლა გადამოწმების ეტაპზე არიან.

# კაფეში ან რესტორანში თამბაქოს მოწევისას ფიზიკური პირებისთვის ჯარიმა პირველად 50 ლარი იქნება



„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკური პირებისთვის საჯარიმო სანქციები 50 ლარიდან, ხოლო იურიდიული პირებისთვის 500 ლარიდან დაიწყება.

როგორც „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელმა გიორგი ბახტურიძემ 7 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე განმარტა, კანონის ადმინისტრირებას ფიზიკურ პირებთან მიმართებაში შსს, ხოლო იურიდიულ პირებთან ფინანსთა სამინისტრო მოახდენს.

თუმცა პროცესში ჩაერთვება სხვა უწყებებიც, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტრო ვალდებული იქნება, ყურადღება გაამახვილოს ჯანდაცვის ობიექტებზე, ტრანსპორტზე პასუხისმგებელი ტრანსპორტის შესაბამისი სამსახურები იქნებიან, ხოლო რეკლამის კანონის დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრირების ორგანო კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიაა.

– თუ ფიზიკური პირი, მაგალითად, კაფეში ან რესტორანში ეწევა თამბაქოს, მას შსს დააჯარიმებს, ხოლო დაწესებულების ადმინისტრაციას ფინანსთა სამინისტრო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციამ მოქალაქის ნეიტრალიზება თავისი ძალებით ვერ მოახერხა, ვერ აუკრძალა მას მოწევა და პატრული გამოიძახა, ფიზიკურ პირს შსს დააჯარიმებს და ადმინისტრაცია აღარ დაჯარიმდება.

ფიზიკურ პირებზე ჯარიმა 50 ლარიდან დაიწყება, დარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება. იურიდიულ პირებზე მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით ჯარიმა 500 ლარიდან დაიწყება. განმეორების შემთხვევაში ეს თანხაც ორმაგდება. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქცია 2000 ლარს აცდება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლო შემოდის. მაქსიმალური საჯარიმო სანქცია 10.000 ლარია დიზაინის დარღვევის შემთხვევაში, – განმარტა გიორგი ბახტურიძემ.

„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი პარლამენტის მიერ კანონპროექტის დამტკიცებას მაისის ბოლომდე ვარაუდობს.

